პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ მაისი, 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა გასცეს აღმასრულებელი ორგანოს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარის“-ს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) 2023 წელს იჯარით მოსარგებლე პირებზე სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით 2024 წლის 31 დეკემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2024 წლის 24 მაისის №01-11/292 (მერიაში რეგისტრაციის №10-1424145169-14 , 24.05.2024წ.) და 2024 წლის 27 მაისის (მერიაში რეგისტრაციის №10/1424149166-14) წერილები, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარში“ შესულია ქალაქ ბათუმში, უზუფრუქტით გადაცემულ ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლზე არსებული საპლაჟო ინფრასტურქტურის მოიჯარეთა კოლექტიური განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში და სსიპ „ბათუმის ბულვარის“ სარგებლობაში არსებული ქონებ(ებ)ის 2024 წლის სეზონზე პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობაში გადაცემა. დანართის სახით წარმოდგენილია მოიჯარეთა კოლექტიური განცხადება და 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების სია.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ დამატებით/დაზუსტებულ წარმოდგენილ წერილში განმარტებულია იმის შესახებ, რომ საკითხის განხივლვის დროს მუნიციპალიტეტმა გაითავლისწინოს მოიჯარეთა განცხადებაში ხსენებული გარემოებები, იმის თაობაზე რომ გასული სეზონის განმავლობაში ზღვაზე რამდენჯერმე განვითარებული ძლიერი შტორმის დროს ზღვიდან გადმოვიდა წყლის დიდი მასა როგორც პლაჟის ნაწილზე ისე პრომენადსა და შიდა სასერნო ხეივანში, რის გამოც დაზიანდა მოიჯარეების მიერ მოწყობილი საპლაჟე ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. წერილშივე განმარტებულია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ პლაჟის მოიჯარეთა მოთხოვნის გათვალისწინების შემთხვევაში, სსიპ „ბათუმის ბულვარი“ უზრუნველყოფს შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რომ ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტმა (მერიამ, საკრებულომ) გაითვალისწინოს სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ დასმული საკითხი, ხელი შეეწყოს სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მოიჯარეებს რათა მათ შეძლონ შექმნილ მდგომარებასთან გამკლავება და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ მისცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარის“-ს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (პლაჟის მოკვეთები) 2023 წელს იჯარით მოსარგებლე პირებზე სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით 2024 წლის 31 დეკემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემაზე.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება არ მოახდენს გავლენას ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ „ბათუმის ბულვარი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**